# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030150588999520

**№ 01-176/ო** **27 / აპრილი / 2020 წ.**

**„ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**მუხლი 1.** „ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების:**

**ა) „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N4 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:**

„დანართი N4 (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების განსაზღვრება (დროებითი, რომელიც ექვემდებარება განახლებას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად)“;

**ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“, „უ“, „ფ“, ქ“, „ღ“, „ყ“ „შ“ და „ჩ“ ქვეპუნქტები:**

„ტ) „რეკომენდაციები დერმატო-კოსმეტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს” N19 დანართის შესაბამისად;

უ) „რეკომენდაციები სახელმწიფო ზრუნვის 24 საათიან დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით“ N20 დანართის შესაბამისად;

ფ) „რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ N21 დანართის შესაბამისად;

ქ) „რეკომენდაციები ხანდაზმულთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ N22 დანართის შესაბამისად;

ღ) „სამედიცინო დაწესებულებაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-ის შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების რეკომენდაციები“ N23 დანართის შესაბამისად;

ყ) „რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ N24 დანართის შესაბამისად;

შ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობა და საპასუხო ქმედებები ხანგრძლივი ზრუნვის საცხოვრისებში (დროებითი რეკომენდაცია)“ N25 დანართის შესაბამისად.“;

ჩ) „რეკომენდაციები შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალზე (უბანი, ქალაქი, სოფელი, რაიონი და ა.შ.) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის“ N26 დანართის შესაბამისად.“.

**2. ბრძანებით დამტკიცებული N18 დანართში (რეკომენდაციები დერმატო-კოსმეტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს) სიტყვა და ნუმერაცია „დანართი N18“ შეიცვალოს „დანართი N19“-ით და შესაბამისად ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

**3. ბრძანებას დაემატოს:**

ა) N20 დანართი (რეკომენდაციები სახელმწიფო ზრუნვის 24 საათიან დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით) თანდართული რედაქციით;

ბ) N21 დანართი (რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს) თანდართული რედაქციით;

გ) N22 დანართი (რეკომენდაციები ხანდაზმულთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს) თანდართული რედაქციით;

დ) N23 დანართი (სამედიცინო დაწესებულებაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-ის შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების რეკომენდაციები) თანდართული რედაქციით;

ე) N24 დანართი (რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს) თანდართული რედაქციით;

ვ) N25 დანართი (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობა და საპასუხო ქმედებები ხანგრძლივი ზრუნვის საცხოვრისებში (დროებითი რეკომენდაცია)) თანდართული რედაქციით;

ზ) N26 დანართი (რეკომენდაციები შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალზე (უბანი, ქალაქი, სოფელი, რაიონი და ა.შ.) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის) თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი — ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად — ეკატერინე ტიკარაძე